თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 14 აპრილის სხდომის

ოქმი № 5

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 14 აპრილს

შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 35 წევრი

სხდომას ესწრებოდა 26 ხმის უფლების მქონე წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.
/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულისათვის დიპლომის ცვლილების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ტალიკაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,ქართული საექსპორტო აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და წარმოების პერსპექტივები“ (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი), შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.
/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

4. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.
   /დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/
2. თსუ კურსდამთავრებულისათვის დიპლომის ცვლილების შესახებ
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ტალიკაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,ქართული საექსპორტო აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და წარმოების პერსპექტივები" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი), შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.
   /დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/
4. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

დეკანის მოადგილემ ასოცირებულმა პროფესორმა მ.ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილებით (№3217/10, 16.02.2022 და №6634/10, 24.03.2022) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის ბრძანების საფუძველზე მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის 1967 წლის კურსდამთავრებულ ნანული აბრამიშვილის (ამჟამად, ციბაძე)

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა, კვალიფიკაციისა და სპეციალობის დაზუსტება.

ნანული აბრამიშვილის (ამჟამად, ციბაძე) სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო რეკვიზიტების დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად, მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ ნანული დავითის ასული აბრამიშვილი 1962 წელს მისაღები გამოცდების შედეგად ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დღის სწავლების „სტატისტიკის“ სპეციალობაზე (ბრძანება №348, 25.08.1962).

1967 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ ნანული დავითის ასულ აბრამიშვილს მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი (ბრძანება №403, 27.07.1967). 1967 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი №758419 (სარეგისტრაციო №35561) რეგისტრირებულია ნანული დავითის ასული აბრამიშვილის სახელზე.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული საქმისწარმოებით დადგინდა, რომ ეკონომიური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1967 წლის სხდომის ოქმები გადაცემულია საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში სახელმწიფო დაცვაზე, თუმცა, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ინფორმაციით ცენტრალურ არქივში კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმები არ იძებნება.

ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით: რადგან, არ იძებნება 1967 წლის ეკონომიური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ რექტორის მიერ გამოცემული ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომების გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად ბრძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა, რომ აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიური ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობის 1967 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების

თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ეკონომიური ფაკულტეტის დღის სწავლების (განყოფილების) სტატისტიკის სპეციალობის 1967 წლის კურსდამთავრებულ ნანული დავითის ასულ აბრამიშვილის (ამჟამად, ციბაძის) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს **1967 წლის 27 ივლისი** და ოქმის ნომრად **№403/ბ**.
- აღნიშნული პირობა გავრცელდეს ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1967 წლის 27 ივლისის №403 ბრძანებაში მითითებულ ეკონომიური ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების (განყოფილებების) სტატისტიკის სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

დეკანის მოადგილემ ასოცირებულმა პროფესორმა მ.ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№7390/10, 31.03.2022) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად მოითხოვა ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის 1995 წლის კურსდამთავრებულ შალვა როინიშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

შალვა როინიშვილის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო რეკვიზიტების დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად, მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ შალვა ლევანის ძე როინიშვილი 1989 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის სწავლების „ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში" სპეციალობაზე (ბრძანება №4/632, 07.08.1989).

1994 წელს აკადემიური ჩამორჩენილობის გამო ამოირიცხა სტუდენტთა სიიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის სწავლების ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო მომსახურებაში „ა" სპეციალობის V კურსის სტუდენტი შალვა ლევანის ძე როინიშვილი (ბრძანება №4/173, 18.04.1994), თუმცა, თითქმის მაშინვე ნაწილობრივ შეიცვალა თსუ რექტორის №4/173, 18.04.1994 ბრძანება და საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის დღის სწავლების V კურსის სტუდენტი შალვა ლევანის ძე როინიშვილი ამორიცხვის ნაცვლად გადაყვანილი

იქნა იმავე სპეციალობის დაუსწრებელი სწავლების V კურსზე (ბრძანება №4/198, 19.04.1994).

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების კურსდამთავრებულ შალვა ლევანის ძე როინიშვილს საინჟინრო ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის 21 ივნისის (ოქმი უნომროა) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია სპეციალობით საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვა, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1995 წლის 18 ივლისის №4/473 ბრძანებით მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია სპეციალობით ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში.

1995 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი აუ №037528 (სარეგისტრაციო №01/401) რეგისტრირებულია შალვა ლევანის ძე როინიშვილის სახელზე.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1995 წელს საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე მოქმედებდა შვიდი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 27 ოქმი.

✓საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №1 / 3 / 4 / 5 (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. გ. მინდელი; წევრები: პროფ. დ. ძნელაძე, პროფ. ნ. პაიჭაძე, პროფ. პ. ჩაგელიშვილი, პროფ. ს. ჩოჩოშვილი, პროფ. რ. ჩხაიძე (შრ. ინსტიტ.), დოც. თ. ხომერიკი, დოც. ზ. გოცირიძე (შრ. ინსტიტ.), დოც. გ. ჩანადირი)* მიერ 1995 წელს წარმოებულია 7 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი. კერძოდ, 1995 წლის 8-15-22 ივნისს (ოქმი №1), 1995 წლის 14 ივნისს (ოქმი №2), 1995 წლის 19 ივნისს (ოქმი უნომროა), 1995 წლის 12-17 ივნისს (ოქმი №4) და 1995 წლის 25 ოქტომბერს 3 ოქმი (ოქმები უნომროა). აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ზემოაღნიშნული კომისიის მიერ წარმოებულ ორ ოქმზე დაფიქსირებულია 2 ან 3 თარიღი. კერძოდ, 8-15-22.06 და 12-17.06. ინფორმაციის დაზუსტებისას გაირკვა, რომ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მუშაობა დამოკიდებული იყო სახელმწიფო გამოცდაზე დაშვებული სტუდენტთა რაოდენობაზე. სახელმწიფო გამოცდის დასრულების შემდეგ კი ფორმდებოდა შესაბამისი ოქმი სათანადო კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. როგორც ჩანს, კომისიამ ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობის სპეციალობის დღის განყოფილების კურსდამთავრებულებთან

იმუშავა 3 დღე (8.06.1995, 15.06.1995 და 22.06.1995), ხოლო საღამო განყოფილების კურსდამთავრებულებთან 2 დღე (12.06.1995 და 17.06.1995). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ასეთ ოქმებზე ოქმის თარიღად განისაზღვროს კომისიის მუშაობის ბოლო დღე.

✓საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... / 2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: კაპანაძე იური თეოდოტის ძე; წევრები: ბიჭიაშვილი ნოდარი სიკოს ძე, ტატიშვილი ალექსანდრე ზურაბის ძე, კიკნაძე მიხეილ მიხეილის ძე, ღუდუშაური ზაირა თევდორეს ასული, ბაკაშვილი ნიკოლოზ ომარის ძე, ჭაჭუკაშვილი თემური შოთას ძე, ლაფაჩი ქეთევან დავითის ასული)* მიერ 1995 წლის 26 ივნისს წარმოებულია 4 ოქმი, რომელთაც მინიჭებული აქვთ ნომერი (№126, №127, №129, №130) და 25 ოქტომბერს 2 ოქმი, რომელთაც მინიჭებული აქვს ნომერი (№3).

✓საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ტუღუში მირონ კარლოს ძე; წევრები: გიგიაშვილი ომარ მიხეილის ძე, ფირცხალაიშვილი ლალი ნერონის ასული, ჩაგელიშვილი ლალი პავლეს ასული, ღვედაშვილი ნაირა ბიჭიკოს ასული, კაპანაძე ლია ანდროს ასული)* მიერ 1995 წლის 14, 16,19, 21, 23 ივნისს და 25 ოქტომბერს წარმოებულია 7 ოქმი, რომელთაც არ აქვს მინიჭებული ნომრები.

✓საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ტუღუში მირონ კარლოს ძე; წევრები: გიგიაშვილი ომარ მიხეილის ძე, ფირცხალაიშვილი ლალი ნერონის ასული, ჩაგელიშვილი ლალი პავლეს ასული, ღვედაშვილი ნაირა ბიჭიკოს ასული, კაპანაძე ლია ანდროს ასული, თურქიაშვილი ლევან ივანეს ძე)* მიერ 1995 წლის 25 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი, რომლის ნომერია №4.

✓საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №5 (პირობითად მეხუთე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.კ. გოგიაშვილი შ.მ.; წევრები: დოც. აჩელაშვილი კ.ვ., დოც. ანანიაშვილი ი.შ., დოც. დავითაია ა.ა., დოც. მათურელი ვ.გ., ე.მ.დ. წერეთელი გ.შ., ე.მ.დ. პაპავა ვ.გ., ე.მ.კ. ცუცქირიძე მ.ვ.; მდივანი: კონიაშვილი დ.გ.)* მიერ 1995 წლის 16 ივნისს და 25 ოქტომბერს წარმოებულია 2 ოქმი და ორივე ოქმს მინიჭებული აქვს №1.

✓საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მეექვსე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: დოც. ძნელაძე სოსო ვლადიმერის ძე; წევრები: დოც. მაღრაძე მ.ვ., დოც. პარკაძე გ.ლ., დოც. გოგიჩაიშვილი ვ.ა., დოც. ლაგვილავა ე.ს., დოც.

კვიციანი ქ.ზ., ტუღუში გ.ა., იასეშვილი ო.ი.; მდივანი: ბოლაშვილი ჯ.ი.) მიერ 1995 წლის 23 ივნისს წარმოებულია 4 ოქმი, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული ნომერი.

✓საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მეშვიდე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: დოც. ძნელაძე სოსო ვლადიმერის ძე; წევრები: დოც. მაღრაძე მ.ვ., დოც. პარკაძე გ.ლ., დოც. გოგიჩაიშვილი ვ.ა., დოც. ლაგვილავა ე.ს., მდივანი: ბოლაშვილი ჯ.ი.) მიერ 1995 წლის 28 ოქტომბერს წარმოებულია 4 ოქმი, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული ნომერი.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამასთან, მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნებათ რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც.

ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მიზნით მოხდეს საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ 1995 წელს წარმოებული უნომრო ოქმებისთვის ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 1995 წელს თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №1/3/4/5 (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* და შრომის ორგანიზაცია და ნორმირება მანქანათმშენებლობაში *(დღე)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 8-15-22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 22 ივნისი და ოქმის ნომერი დარჩეს უცვლელი №1;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №2, 14.06.1995;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების შრომის ორგანიზაციისა და ნორმირება მანქანათმშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 19 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 19 ივნისი და ოქმის ნომრად №3/პ;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 12-17 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 17 ივნისი და ოქმის ნომერი დარჩეს უცვლელი №4;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 25 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 25 ოქტომბერი და ოქმის ნომრად №5/პ;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 25

ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 25 ოქტომბერი და ოქმის ნომრად №6/3;

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 25 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 25 ოქტომბერი და ოქმის ნომრად №7/3;

2. აღდგენილად ჩაითვალოს 1995 წელს თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №.../2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №126, 26.06.1995;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის („ა“ ჯგ.) განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №127, 26.06.1995;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის („ბ“ ჯგ.) განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №129, 26.06.1995;

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №130, 26.06.1995;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 25 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №3, 25.10.1995;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 25 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №3, 25.10.1995;

3. აღდგენილად ჩაითვალოს 1995 წელს თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში *(საღამო)*, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვა *(დღე, დაუსწრებელი)* და კავშირგაბმულობის ეკონომიკა და მართვა *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია

და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამო განყოფილების ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში სპეციალობის (სპეციალიზაცია - საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვა) კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 14 ივნისი და ოქმის ნომრად №1/პ;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 16 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 16 ივნისი და ოქმის ნომრად №2/პ;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების კავშირგაბმულობის ეკონომიკა და მართვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 19 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 19 ივნისი და ოქმის ნომრად №3/პ;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. შალვა ლევანის ძე როინიშვილი) ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 21 ივნისი და ოქმის ნომრად №4/პ;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების კავშირგაბმულობის ეკონომიკა და მართვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 23 ივნისი და ოქმის ნომრად №5/პ;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-

ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 25 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 25 ოქტომბერი და ოქმის ნომრად №7/პ.

4. აღდგენილად ჩაითვალოს 1995 წელს თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ჯანდაცვის ეკონომიკისა და მართვის (დღე) სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 26 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №4, 26.06.1995.

5. აღდგენილად ჩაითვალოს 1995 წელს თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №5 (პირობითად მეხუთე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკური კიბერნეტიკის *(დღე)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 16 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი -

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №5 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 16.06.1995;

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 25 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №5 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 25.10.1995.

6. აღდგენილად ჩაითვალოს 1995 წელს თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მეექვსე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვი ავტომატიზებული სისტემების *(დღე, საღამო),* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 23 ივნისი და ოქმის ნომრად №1/პ;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 23 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 23 ივნისი და ოქმის ნომრად №2/პ.

7. აღდგენილად ჩაითვალოს 1995 წელს თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მეშვიდე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვი ავტომატიზებული სისტემების *(დღე, საღამო),*

სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 28 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 28 ოქტომბერი და ოქმის ნომრად №3/3;
- საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1995 წლის 28 ოქტომბრის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1995 წლის 28 ოქტომბერი და ოქმის ნომრად №4/3.

8. ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ 1995 წლის 8-15-22 ივნისს, 12-17 ივნისს, 14 ივნისს, 16 ივნისს, 19 ივნისს, 21 ივნისს, 23 ივნისს, 26 ივნისს, 25 ოქტომბერს და 28 ოქტომბერს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1. 1995 წლის 8-15-22, 14, 19, 12-17 ივნისის და 25 ოქტომბრის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №1/3/5 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი; 2. 1995 წლის 26 ივნისის და 25 ოქტომბრის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №.../2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 3. 1995 წლის 14, 16, 19, 21, 23 ივნისის და 25 ოქტომბრის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 4. 1995 წლის 26 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი; 5. 1995 წლის 16 ივნისის და 25 ოქტომბრის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №5 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 6. 1995 წლის 23 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური*

ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 7. 1995 წლის 28 ოქტომბრის საინჟინრო ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულისათვის დიპლომის ცვლილების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ლ.საბაურმა საბჭოს გააცნო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი.მშვენიერაძის წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 3 აგვისტოს (ოქმი №7) გადაწყვეტილებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის 2021 წლის კურსდამთავრებულ დოდო ტალახაძეს (პ/ნ: 60001144405) მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი, რის საფუძველზეც გამოიცა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების 2021 წლის კურსდამთავრებულთა სახელზე დიპლომების გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის ბრძანება №554/01-04, 13.08.2021.

წარდგინების მომზადების პერიოდში (დაახლოებით 2021 წლის 22 ივლისი - 28 ივლისი) ამოღებულ სასწავლო ბარათზე სტუდენტს უფიქსირდებოდა GPA 3.41, რის საფუძველზეც კურსდამთავრებული შეყვანილი იქნა ჩვეულებრივი დიპლომების სიაში. დიპლომის დანართის მომზადებისას გაირკვა, რომ დოდო ტალახაძეს GPA არის 3,49 (ანუ 3,5), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტმა დაამთავრა წარჩინებით. აღნიშნული ფაქტის შემდეგ, დეტალურად გადაიხედა დოდო ტალახაძის სასწავლო ბარათი, სტუდენტის მიერ შესწავლილი ყველა დისციპლინა და მიღებული შეფასებები. შემოწმების შედეგად შეფასებებში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. გამომდინარე აქედან, აღნიშნული ხარვეზი შესაძლოა იყოს მონაცემთა მართვის სისტემის (LMS.TSU.GE) გაუმართაობა.

პროფესორმა ლ.საბაურმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, გათვალისწინებულ იქნას ზემოაღნიშნული ფაქტი და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების 2021 წლის კურსდამთავრებულ დოდო ტალახაძეს (პ/ნ: 60001144405), რომელსაც მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხი, „დიპლომი ჩვეულებრივი“-ს ნაცვლად მიეცეს „დიპლომი წარჩინებით“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ბიზნესის ადმინისტრირების 2021 წლის კურსდამთავრებულ დოდო ტალახაძეს (პ/ნ: 60001144405), რომელსაც მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხი, „დიპლომი ჩვეულებრივი"-ს ნაცვლად მიეცეს „დიპლომი წარჩინებით".

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ტალიკაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,ქართული საექსპორტო აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და წარმოების პერსპექტივები" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი), შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ასოცირებულმა პროფესორმა, მ. ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ტალიკაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,ქართული საექსპორტო აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და წარმოების პერსპექტივები" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი), შემფასებლები და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

შემფასებლები:

1. თსუ ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი
2. ასოცირებული პროფესორი ბადრი გეჩბაია (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

კომისიის წევრები:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე
3. პროფესორი იური ანანიაშვილი

4. პროფესორი რევაზ გველესიანი
5. პროფესორი სიმონ გელაშვილი
6. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
7. პროფესორი მირიან ტუხაშვილი
8. პროფესორი დემურ სიჭინავა
9. პროფესორი ნინო გრიგოლაია *(თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი)*
10. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე
11. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია
12. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
13. ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი
14. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
15. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი
16. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ტალიკაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,ქართული საექსპორტო აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და წარმოების პერსპექტივები“ (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი), შემფასებლები და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

შემფასებლები:

1. თსუ ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი
2. ასოცირებული პროფესორი ბადრი გეჩბაია (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

კომისიის წევრები:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე
3. პროფესორი იური ანანიაშვილი

4. პროფესორი რევაზ გველესიანი

5. პროფესორი სიმონ გელაშვილი

6. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

7. პროფესორი მირიან ტუხაშვილი

8. პროფესორი დემურ სიჭინავა

9. პროფესორი ნინო გრიგოლაია *(თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი)*

10. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე

11. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია

12. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი

13. ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი

14. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე

15. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი

16. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ა“ კატეგორიის პროფესორის თანამდებობრივი სარგოს გაზრდის შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე/

პროფესორმა გ.ღაღანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ ბოლო წლებში იზრდება სტუდენტების რიცხოვნობა, რაც შესაბამისად ზრდის აკადემიური პერსონალის შრომის ინტენსივობას, ასევე განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების საკითხების გეგმაზომიერად მოწესრიგების საჭიროებას. იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, დადგენილი ბიუჯეტის ფარგლებში, გარკვეული პერიოდულობით ახორციელებს აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდას, შესაძლებელია, რომ 2022 წელს დადგეს საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის ხელფასი გაიზარდოს 500 (ხუთასი) ლარით. ანაზღაურების მატებისათვის საჭირო რესურსი, გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ბიუჯეტში, შესაბამისად, ფინანსური მხარე სრულად უზრუნველყოფილია. ვინაიდან, აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია თსუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის N112 დადგენილებით (მასში განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით),

აუცილებელია ანაზღაურების ცვლილების ზრდის გადაწყვეტილება წარედგინოს თსუ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, რექტორს, რათა საკითხს მიეცეს შემდგომი მსვლელობა.

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ, პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ა“ კატეგორიის პროფესორის თანამდებობრივი სარგო გაიზარდოს 500 ლარით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი გ.ლალანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე